

| ფინანსური მდგომარეობა                                                                          |            |            |            |
|------------------------------------------------------------------------------------------------|------------|------------|------------|
| ფინანსური მდგომარეობა                                                                          | 31/12/2021 | 31/12/2020 | 31/12/2019 |
| ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები                                                          | 4073352    | 221720     | 3877204    |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები                                                                     | 4859693    | 1360556    | 37452      |
| სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები                                    | 3974141    | 8103366    | 4585877    |
| მარაგები                                                                                       | 629550     | 63259      | 21565      |
| მზა პროდუქცია                                                                                  |            |            |            |
| სხვა                                                                                           | 629550     | 63259      | 21565      |
| საინვესტიციო ქონება                                                                            | 41894      | 41894      | 40271      |
| სხვა მოკლევადიანი აქტივები                                                                     |            |            |            |
| ბიოლოგიური აქტივები                                                                            |            |            |            |
| თვითღირებულების მოდელით                                                                        |            |            |            |
| გადაფასების მოდელით                                                                            |            |            |            |
| გუდვილი                                                                                        |            |            |            |
| სხვა არამატერიალური აქტივები                                                                   | 2193       | 2854       |            |
| ძირითადი საშუალებები                                                                           | 2707266    | 2806202    | 2867216    |
| ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში                                            |            |            |            |
| სხვა გრძელვადიანი აქტივები                                                                     | 220203     | 220203     |            |
| სულ აქტივები                                                                                   | 16508292   | 12820054   | 11429585   |
| ვალდებულებები                                                                                  |            |            |            |
| საიჯარო ვალდებულება                                                                            |            |            |            |
| სავაჭრო ვალდებულებები                                                                          | 4082724    | 446333     | 3384       |
| ანარიცხები                                                                                     |            |            |            |
| ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ                                                             | 2964       | 2964       | 2564       |
| საგადასახადო ვალდებულებები                                                                     | 9907       | 37747      | 102573     |
| გამომუშავებული შემოსავალი                                                                      | 381564     | 398221     | 1357305    |
| მოკლევადიანი ნასესხები სახსრები                                                                | 11142720   | 12794094   | 10220548   |
| გრძელვადიანი ნასესხები სახსრები                                                                |            |            |            |
| მიღებული გრანტები                                                                              |            |            |            |
| სხვა ვალდებულებები                                                                             |            |            |            |
| სულ ვალდებულებები                                                                              | 15619879   | 13679359   | 11686374   |
| საკუთარი კაპიტალი                                                                              |            |            |            |
| სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი',<br>კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი') |            |            |            |
| საემისიო შემოსავალი                                                                            |            |            |            |
| გამოსყიდული საკუთარი აქციები                                                                   |            |            |            |
| გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)                                                      | 888413     | -859305    | -256789    |
| გადაფასების რეზერვი                                                                            |            |            |            |
| საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები                                                           |            |            |            |
| სულ მშობელი საწარმოს მფლობელთათვის განკუთვნილი<br>საკუთარი კაპიტალი                            | 888413     | -859305    | -256789    |
| არამაკონტროლებელი წილი (კონტროლის არმქონე<br>ინვესტორთა ჯამური წილი)                           |            |            |            |
| სულ საკუთარი კაპიტალი                                                                          | 888413     | -859305    | -256789    |
| სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები                                                         | 16508292   | 12820054   | 11429585   |
| სულ მოკლევადიანი აქტივები                                                                      | 13536736   | 9748901    | 8522098    |
| სულ მოკლევადიანი ვალდებულებები                                                                 | 15619879   | 13679359   | 11686374   |

შპს ჯეოფაქ-ის დირექტორის მოადგილე:

ბუღალტერი:

  
J. Tsogina Cheloi

/ზურაბ სამსეიშვილი/

/ესმა ტიგინაშვილი/

**საქმიანობის შედეგები**

| <b>საქმიანობის შედეგები</b>                                                                                                       | <b>31/12/2021</b> | <b>31/12/2020</b> |
|-----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|-------------------|-------------------|
| ნეტო ამონაგები                                                                                                                    | 6030608           | 10965079          |
| საქონლის გაყიდვიდან                                                                                                               | 5340806           | 10326810          |
| მომსახურების გაწევიდან                                                                                                            | 689802            | 638269            |
| სამშენებლო ხელშეკრულებებიდან                                                                                                      |                   |                   |
| სხვა                                                                                                                              |                   |                   |
| გაყიდვების თვითღირებულება                                                                                                         | -5090110          | -9355590          |
| საწყისი მარაგები                                                                                                                  |                   |                   |
| მარაგების შესყიდვა                                                                                                                |                   |                   |
| გადამუშავების დანახარჯები                                                                                                         |                   |                   |
| საბოლოო მარაგები                                                                                                                  |                   |                   |
| საერთო მოგება                                                                                                                     | 940498            | 1609489           |
| სხვა საოპერაციო შემოსავალი                                                                                                        |                   |                   |
| დასაქმებულთა ანაზღაურება                                                                                                          | -44520            | -32028            |
| ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი                                                                                                        | -99596            | -99020            |
| საპროცენტო შემოსავალი                                                                                                             |                   |                   |
| საპროცენტო ხარჯი                                                                                                                  |                   |                   |
| იჯარის ხარჯი                                                                                                                      |                   |                   |
| ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი                                                                                          | -265706           | -383264           |
| სულ საოპერაციო ხარჯები                                                                                                            | -409822           | -514312           |
| საოპერაციო მოგება                                                                                                                 | 530676            | 1095177           |
| <b>გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:</b>                                                                                            |                   |                   |
| ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა                                                                                |                   |                   |
| მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა                                                                                          |                   |                   |
| სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა                                                                        |                   |                   |
| წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან                                    | 1216091           | -1786748          |
| მიღებული დივიდენდები                                                                                                              |                   |                   |
| სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)                                                                                           | 951               | 86868             |
| მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან                                                          | 1747718           | -604703           |
| მოგების გადასახადის ხარჯი                                                                                                         |                   |                   |
| საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი                                                                                            | 1747718           | -604703           |
| <b>სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):</b>                                                                                          |                   |                   |
| ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი                                                       |                   |                   |
| სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ გადასახდელიანი პროგრამები) |                   | 2187              |
| სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:                                                                                            |                   | 2187              |
| მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)                                                                                               | 1747718           | -602516           |
| <b>მოგება / (ზარალი) განკუთვნილი:</b>                                                                                             |                   |                   |
| მშობელი საწარმოს მესაკუთრეებზე მისაკუთვნილებელი მოგება (ზარალი)                                                                   | 1747718           | -604703           |
| არამაკონტროლებელ წილებზე მისაკუთვნილებელი მოგება (ზარალი)                                                                         |                   |                   |
| მოგება / (ზარალი)                                                                                                                 | 1747718           | -604703           |
| <b>მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი) განკუთვნილი:</b>                                                                           |                   |                   |
| მშობელი საწარმოს მესაკუთრეებზე მისაკუთვნილებელი მთლიანი შემოსავალი                                                                | 1747718           | -602516           |
| არამაკონტროლებელ წილებზე მისაკუთვნილებელი მთლიანი შემოსავალი                                                                      |                   |                   |
| მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)                                                                                               | 1747718           | -602516           |
| საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში                                                                               | -859305           | -256789           |
| ახალი აქციების გამოშვება (მზს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')               |                   |                   |
| განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)                                                                                    |                   |                   |
| სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში                                                                                             |                   |                   |
| კაპიტალის/სხვა ცვლილებები                                                                                                         |                   |                   |
| საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს                                                                                    | 888413            | -859305           |

მზს ჯეოფაქ-ის დირექტორის მოადგილე:

ბუღალტერი:



ე. სიგინაშვილი

/ზურაბ სამსეიშვილი/

/ესმა ტიგინაშვილი/

**ფულადი სახსრების მოძრაობა**

| <b>ფულადი სახსრების მოძრაობა</b>                                                                       | <b>31/12/2021</b> | <b>31/12/2020</b> |
|--------------------------------------------------------------------------------------------------------|-------------------|-------------------|
| საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები     | 4537056           | -3489467          |
| საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები | -565750           | -282098           |
| საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები       |                   | -15104            |
| <b>ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)</b>                                                              | <b>3971306</b>    | <b>-3786669</b>   |
| ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე                                 | -119674           | 131185            |
| <b>ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში</b>                         | <b>221720</b>     | <b>3877204</b>    |
| <b>ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს</b>                              | <b>4073352</b>    | <b>221720</b>     |
|                                                                                                        |                   |                   |

შპს ჯეოფექ-ის დირექტორის მოადგილე:

ბუღალტერი:



*[Handwritten signature]*  
 ე. სიგინაშვილი

/ზურაბ სამსეიშვილი/

/ესმა ტიგინაშვილი/

## შპს „ჯეოფექ“-ის სააღრიცხვო პოლიტიკა და განმარტებითი შენიშვნები

### 1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ჯეოფექ“-ი (შემდგომში „კომპანია“) ს/კ 406251265, დაფუძნებულია აზერბაიჯანის რესპუბლიკის მოქალაქის რამიზ რზაევის (პასპორტის № C01560950) მიერ. იგი არის მისი 100%-იანი წილის მფლობელი და ახორციელებს შპს-ს აღმასრულებელ და წარმომადგენლობით ფუნქციებს.

შპს-ს საგადასახადო რეგისტრაცია გავლილი აქვს 2018 წლის 10 ივლისს. კომპანიას წესდებით უფლება აქვს მოგების მიღების მიზნით განახორციელოს კანონით აუკრძალავი ნებისმიერი საქმიანობა;

შპს ჯეოფექ-ის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს არასპეციალიზებული საბითუმო ვაჭრობა. აგრეთვე საკუთარი არასაცხოვრებელი შენობების გაქირავება და მართვა, საბითუმო ვაჭრობა ხილით და ბოსტნულით, საექსპედიტორო საქმიანობა.

კომპანია ძირითადად ოპერირებს საზღვარგარეთ და ახორციელებს სხვადასხვა საქონლის რეექპორტს და საზღვარგარეთ გაყიდვებს. ასევე კომპანიას მცირე რაოდენობით აქვს ექსპორტი და ქვეყნის შიგნით გაყიდვები.

შპს ჯეოფექ-ი არის დამფუძნებელი შპს ტექნიკუმ პლასტიკ ენჯინერინგ-ის და მისი 100 %-იანი წილის მფლობელია. თუმცა ამ შვილობილ კომპანიის 2021 წლის განმავლობაში არ უფუნქციონირებია და ჯერჯერობით არც არის დარეგისტრირებული შემოსავლების სამსახურის Rs.ge პორტალზე.

### 2. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა:

#### 2.1. წარდგენის საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასსკ) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების (მთლიანობაში ფასს-ების ) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ „ საქართველოს კანონის შესაბამისად და მოიცავს: ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას, მოგება-ზარალის ანგარიშგებას, ფულადი ნაკადების ანგარიშგებას და კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგებას.

მოგება-ზარალის ანგარიშგება დგება ხარჯების კლასიფიკაციით ფუნქციური დანიშნულების მიხედვით.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით - ანუ დშვებით, რომ ორგანიზაცია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

ორგანიზაციის საანგარიშო პერიოდი მოიცავს სრულ კალენდარულ წელს 01 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

ფინანსური ანგარიშგება უტყუარად წარმოადგენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას, ფინანსურ შედეგებს, ფულადი სახსრების ნაკადებს და საკუთარ კაპიტალს იმ საანგარიშო პერიოდისათვის რომელიც მთავრდება 2021 წლის 31 დეკემბერს.

## 2.2. აღრიცხვისა და ანგარიშგების ორგანიზება

ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება ნაწარმოებია ელექტრონულად, საბუღალტრო პროგრამით „ორისი“-თ. ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ ინსტრუქციით განსაზღვრული მეთოდოლოგიის, ანგარიშთა გეგმისა და ანგარიშგების ფორმების მიხედვით.

ბუღალტრულ აღრიცხვასა და ფინანსურ ანგარიშგებაში გამოყენებულ დოკუმენტებში მოცემული ინფორმაცია შეესაბამება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით განსაზღვრულ პირველადი საბუღალტრო დოკუმენტების და სააღრიცხვო რეგისტრების ფორმების მონაცემებს.

ეკონომიკური მოვლენების ამსახველ ბუღალტრული აღრიცხვის დოკუმენტებს ხელს აწერს კომპანიის დირექტორის მოადგილე (დირექტორის მიერ გაცემული მინდობილობით უფლებამოსილი პირი).

ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე და დანიშნულებით წარდგენაზე პასუხისმგებელია საზოგადოების ხელმძღვანელი.

## 2.3. ძირითადი საშუალებები

შპს-ში ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, საიმპორტო ბაჟს, ტრანსპორტირების, მონტაჟისა და სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად საჭირო სხვა პირდაპირ ხარჯებს.

ხარჯები ძირითადი საშუალებების მოვლა-შენახვაზე და რემონტზე, რომლითაც არ იზრდება მათი ღირებულება, მიკუთვნებულია საოპერაციო ხარჯებზე, ხოლო ის ხარჯები რომელიც გაიწევა რეკონსტრუქციაზე, განახლებასა და გადაიარაღებაზე კაპიტალიზირდება და ზრდის ძირითადი საშუალებების ღირებულებას.

ცვეთის გამოთვლა ხდება წრფივი მეთოდით, რაც გულისხმობს აქტივის თვითღირებულების განაწილებას აქტივის მთელი მომსახურების ვადის მანძილზე.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ხდება აქტივის ნარჩენი ღირებულებისა და მომსახურების ვადის გადახედვა და საჭიროების შემთხვევაში მათი შეცვლა.

კომპანიის ქონება მოიცავს მიწას, საინვესტიციო ქონებას, შენობებს, მოწყობილობებს, გაზგაყვანილობის ქსელს, მსუბუქ ავტომობილს და დაუმთავრებელ მშენებლობას.

| დასახელება                   | რაოდ-<br>ენობა | საბალანსო<br>ღირებულება | ცვეთა<br>წლის<br>ბოლოს | ნარჩენი<br>ღირებულება<br>წლის<br>ბოლოს |
|------------------------------|----------------|-------------------------|------------------------|----------------------------------------|
| მიწა                         | 2              | 946574,90               |                        | 946574,90                              |
| საინვესტიციო ქონება          | 6              | 41894,26                |                        | 41894,26                               |
| დაუმთავრებელი მშენებლობა     | 1              | 220202,70               |                        | 220202,70                              |
| შენობები                     | 3              | 1397013,89              | 143907.70              | 1253106.19                             |
| მოწყობილობები და აღჭურვილობა | 8              | 270622,54               | 31765.21               | 238857.33                              |
| ქსელები                      | 1              | 37256,73                | 3776.42                | 33480.31                               |
| მსუბუქი ავტომობილი           | 1              | 271625,73               | 36377.92               | 235247.81                              |
|                              |                | 3185190,75              | 215827,25              | 2969363,50                             |

ძირითადი საშუალებები ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება ცვეთის თანხით შემცირებული თვითღირებულებით.

#### 2.4. ვალდებულებები

მოკლევადიანი ვალდებულებები აღირიცხება იმ თანხით, რომლის გადახდაც მოუწევს საზოგადოებას.

#### 2.5. საკუთარი კაპიტალი

საკუთარი კაპიტალი 2021 წლის ბოლოსათვის შეადგენს 888413,32 ლარს. კომპანიის 2021 წლის საოპერაციო მოგებამ შეადგინა 530676 ლარი, მაგრამ სავალუტო რყევებმა და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან მიღებულმა მოგებამ დიდი გავლენა იქონია კომპანიის საბოლოო ფინანსურ შედეგზე და კომპანიის მოგებამ 2021 წლის ბოლოს შეადგინა 1747718,01 ლარი. კომპანიას წესდებით საწყისი საწესდებო კაპიტალი არ გააჩნია.

წინა წლების დაუფარავი ზარალია -859304,69 ლარი,

2021 წლის მოგებაა 1747718,01 ლარი.

სულ საკუთარმა კაპიტალმა შეადგინა 888413,32 ლარი.

#### 2.6. შემოსავლები

შემოსავლები აღიარდება დარიცხვის მეთოდით. შემოსავლები განიხილება იმ პერიოდის შემოსავლად, რომელ პერიოდშიც იქნა გამოშვებული მიუხედავად მისი სანაცვლო ფულადი სახსრებისა, ან სხვა ეკონომიკური კომპენსაციის ფაქტიურად მიღების მომენტისა.

შემოსავლები აღირიცხება და ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება მისი წყაროების მიხედვით;

შპს-ს შემოსავლები 2021 წელს ძირითადად მოიცავს შემოსავლებს არასპეციალიზებული საბითუმო ვაჭრობიდან და საკუთარი არასაცხოვრებელი შენობების გაქირავებიდან. კერძოდ, 2021 წელს ამ საქმიანობებიდან მიღებული შემოსავლები ასე გადანაწილდა:

1. ადგილობრივ ბაზარზე გაყიდვები - 2525957,64 ლარი
2. იჯარით მომსახურება - 654864,41 ლარი
3. ექსპორტი - 100623,30 ლარი
4. რეექსპორტი - 2151929,13 ლარი
5. საზღვარგარეთ გაყიდვები - 562296,03 ლარი

6. საექსპედიტორო მომსახურება - 34937,18 ლარი  
7. სხვა არასაოპერაციო შემოსავლები - 1565,98 ლარი;  
სულ შემოსავლებმა შეადგინა 6032173.67 ლარი.

## 2.7. ხარჯები

ხარჯების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით და განიხილება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც იგი წარმოიშვა და უზრუნველყო ეკონომიკური სარგებლის მიღება, მიუხედავად ხარჯების ფაქტიურად დაფარვის მომენტისა.

ხარჯები აღირიცხება და ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება მისი ფუნქციონალური დანიშნულების მიხედვით.

კომპანიის დანახარჯები 2021 წელს შეადგენს შემდეგს:

- გაყიდული საქონლის თვითღირებულება - 5057026,45 ლარი
- გაყიდული მომსახურების თვითღირებულება - 33083,87 ლარი
- მიწოდების ხარჯები - 203046.87 ლარი
- საერთო ადმინისტრაციული ხარჯი - 206775.03 ლარი  
მათ შორის:
- შრომის ანაზღაურებაზე გაწეული ხარჯი - 35628 ლარი
- საშემოსავლო გადასახადის ხარჯი - 8892 ლარი
- ძირითად ქონებაზე დარიცხული ცვეთა - 99595.50 ლარი
- საპენსიო შენატანების ხარჯი - 60 ლარი
- დაცვის მომსახურების ხარჯი - 21355,92 ლარი
- მივლინების ხარჯები - 0 ლარი
- სხვადასხვა საგადასახადო ხარჯი - 31548.22 ლარი
- ბანკის მომსახურების ხარჯი - 6974.82 ლარი
- მანქანის მიმდინარე საექსპლუატაციო ხარჯები - 551.15 ლარი
- ოფისის სხვადასხვა ხარჯები - 644 ლარი
- სხვადასხვა ხარჯები - 1525.42 ლარი

- სხვა არასაოპერაციო ხარჯები - 615,13 ლარი

სულ კომპანიის ხარჯებმა 2021 წელს შეადგინა 5500547.35 ლარი.

2021 წელს კომპანიის საოპერაციო მოგებამ შეადგინა 530676 ლარი, მაგრამ სავალუტო სახსრების გადაფასებიდან მიღებულმა საკურსო მოგებამ გამოიწვია 2021 წლის საბოლოო ფინანსური შედეგის გაზრდა და შეადგინა 1747718,01 ლარი.

შპს ჯეოფექ-ის დირექტორის მოადგილე



 /ზურაბ სამსეიშვილი/

# ДОВЕРЕННОСТЬ

Азербайджанская Республика, город Баку,  
Третье сентября две тысячи двадцать второго года

Общество с ограниченной ответственностью «Джеопек» («Geopack LLC»), зарегистрированное 10.07.2018 года, идентификационный номер: 406251265, юридический адрес: Грузия, Тбилиси, в лице директора и учредителя, гр. Азербайджанской Республики, **Рзаев Рамиза Биалал оглы**, 02.01.1961 года рождения, пол: мужской, место рождения: Грузия, удостоверение личности: AA2738106, зарегистрированного по адресу: Азербайджанская Республика, город Баку, Сабунчинский район, поселок Бакиханова, улица Шафага, дом 7, квартира 1, паспорт: PC AZE C01560950, выдан 25.08.2017 года Министерством внутренних дел, ПИН: 1SHYKSK,

*настоящей доверенностью уполномочивает*

гр. Грузии, **Самсеишвили Зураба (SAMSEISHVILI ZURAB)**, 15.07.1976 года рождения, пол: мужской, паспорт: 12IB83003, выдан 01.11.2012 года Министерством Юстиции, личный номер: 42001004849,

действовать от моего имени, как директора и учредителя **ООО «Джеопек»** осуществлять, налоговые, финансовые операции, быть представителем моих интересов во всех органах, проводить любые переговоры с физическими и юридическими лицами, подписывать для этого любую, необходимую документацию. Оплачивать налоги, пошлины и другие взносы, в соответствии с законодательством, заносить заявления в соответствующие органы, использовать печать **ООО «Джеопек»** и получать всю необходимую информацию, декларации, выписки, сравнительные акты и другие, осуществлять налоговые, финансовые, кассовые и таможенные операции, предоставлять декларацию, выполнять электронное декларирование. Быть моим представителем во всех государственных и частных учреждениях и организациях. В министерстве финансов, в службе доходов, в нотариальном бюро, в национальном агентстве гражданского реестра, в ЮЛПП службе обслуживания МВД, в патрульной полиции, осуществлять любую деятельность связанную с кассовым аппаратом, заключать сделки в любой форме, условия определить самому, заключать сделку с самим собой. Приобрести и/или продать от имени **ООО «Джеопек»** любые движимые имущества, автомашины, переоформить на свое имя, переоформить третьим лицам, взять номерные знаки, вывести машину со штраф-стоянки, управлять машиной, как на территории Грузии так и за ее пределами, в связи с этим быть представителем в Агентстве Обслуживания Министерства Иностранных дел, в Таможенном Департаменте Министерства Финансов Грузии, в экономической зоне оформления, в патрульной полиции, собирать для этого все нужные документы, осуществлять все законные действия, подписывать вместо меня все нужные документы и производить любые действия связанные с выполнением этого поручения.

**Доверенность выдана сроком 5 (пять) лет, без права передоверия.**

Подпись: \_\_\_\_\_

*Рзаев Рамиз Биалал оглы*



«03» сентября 2022 года

Настоящая доверенность удостоверена мною, **Сабитовым Фамилем Мирсадыг оглы**, частным нотариусом нотариального офиса № 1 города Баку. Доверенность подписана директором и учредителем **ООО «Джеопек» Рзаевым Рамизом Биалал оглы**, в моем присутствии собственноручно. Правоспособность **ООО «Джеопек»** и полномочия его директора проверены. Личность доверителя установлена, дееспособность проверена.

Внесено в информационную систему, зарегистрировано в реестре за № 7Е - 0845

Взыскана плата 15,00 манат + 02,25 манат за услугу

Доверенность выдана в двух экземплярах, один из которых хранится в архиве нотариуса.



Нотариус: \_\_\_\_\_

*Сабитов Ф.М.*

Сабитов Ф.М.

Перевод печати: Министерство Юстиции Азербайджанской Республики\* город Баку\* нотариус Сабитов Фамиль Мирсадыг оглы\* Нотариальный офис № 1

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი **N221245754**  
  
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი **16.09.2022 წ**  
სანოტარო მოქმედების დასახელება **დოკუმენტის ასლის დამოწმება**  
ნოტარიუსი **გიორგი ლომაშვილი**  
სანოტარო ბიუროს მისამართი **თბილისი, მტკვრის ქ. # 6 ბ. #1**  
სანოტარო ბიუროს ტელეფონი **+995551004304**  
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი **98113489177222**  


ორი ათას ოცდაორი წლის თექვსმეტ სექტემბერს მე, ნოტარიუს გიორგი ლომაშვილს, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი მტკვრის ქ № 6 ბინა 1, ნათია ლაგვილავამ, მან წარმოდგინა დოკუმენტი და განაცხადა, რომ სურს წარმოდგენილი დოკუმენტის (ფოტოასლი დამზადებულია ჩემს მიერ) ასლის დედანთან სისწორის სანოტარო წესით დამოწმება. მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ მე ნათია ლაგვილავამ (დაბ. 15.03.1982 წ. ზუგდიდი, პ/პ 19001011521, რეგისტრირებული: თბილისი პ.მელიქიშვილის გამზ. 29) მომმართა. მე შევამოწმე ასლი და ვადასტურებ ასლის სისწორეს მის დედანთან, უკანასკნელში ამოფხევილი, მიწერილი, გადაშლილი სიტყვები და სხვა აღმნიშვნელი გასწორებანი ან რაიმე თავისებურებანი არ აღმოჩენილა. ასევე განვუმარტე ნათია ლაგვილავას რომ ნოტარიუსის მიერ ასლის შესაბამისობის დამოწმება არ ნიშნავს დოკუმენტის დედნის (დამოწმებული ასლის) კანონიერებისა და ნამდვილობის დამოწმებას და, შესაბამისად, ნოტარიუსს არ ეკისრება პასუხისმგებლობა იმის გამო, თუკი დოკუმენტის დედანი კანონსაწინააღმდეგოა (ან შეიცავს კანონსაწინააღმდეგო დებულებებს), ან გაყალბებულია (მატერიალურად, და/ან შინაარსობრივად). გადახდილია 4.00 ლარი, თანახმად საქართველოს მთავრობის დადგენილება #507 (29.12.2011 წ) 31 მუხლისა. დღგ 0.72 ლ თანახმად საგადასახადო კოდექსი 166-ე უხლისა

ნოტარიუსი: გიორგი ლომაშვილი

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება-გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ-გვერდზე: [www.notary.ge](http://www.notary.ge) ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

## მინდობილობა

აზერბაიჯანის რესპუბლიკა, ქალაქი ბაქო

სამი სექტემბერი ორი ათას ორი წელი

უზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ჯეოფექ“, რეგისტრირებული 10.07.2018 წელს, საიდენტიფიკაციო ნომერი: 06251265, იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი, დირექტორის და დამფუძნებლის სახით აზერბაიჯანის რესპუბლიკის მოქალაქე რზაევ რამიზ ბილალ ოღლი ( დაბადებული: 02.01.1961 წელს, სქესი: მამრობითი, დაბადების დღი: საქართველო, ბოლნისის რაიონი, პირადობის დამადასტურებელი მოწმობა AZE № 16347126, გაცემული: 18.02.2017 წელს, ასან 5 ორგანოს მიერ, რეგისტრირებული მისამართზე: აზერბაიჯანის რესპუბლიკა, ქალაქი ბაქო, საბუნჩინის რაიონი, აკიხანოვას დასახლება, შაფაგის ქუჩა, სახლი 7, ბინა 1, პასპორტი PC AZE C01560950, გაცემული: 25.08.2017 წელს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ),

მოცემული მინდობილობით უფლებამოსილებას ვანიჭებ

საქართველოს მოქალაქეს სამსეიშვილი ზურაბ-ს ( დაბადებული: 15.07.1976 წელს, სქესი: მამრობითი, პასპორტი 12IB83003, გაცემული: 01.11.2012 წელს იუსტიციის სამინისტროს მიერ, პირადი ნომერი: 42001004849, მოქმედოს ჩემი, როგორც შპს „ჯეოფექ“-ის დირექტორის და დამფუძნებლის სახელით, განახორციელოს საგადასახადო და საფინანსო ოპერაციები, იყოს ჩემი ინტერესების წარმომადგენელი ყველა ორგანოში, აწარმოოს ნებისმიერი მოლაპარაკებები კომერციულ და იურიდიულ პირებთან მიმართებაში, ამისთვის ხელი მოაწეროს ნებისმიერ საჭირო დოკუმენტაციას, გადაიხადოს გადასახადები, საზღაურები და სხვა შესატანები კანონმდებლობის შესაბამისად, შეიტანოს განცხადება შესაბამის ორგანოებში, გამოიყენოს შპს „ჯეოფექ“-ის ბეჭედი და მიიღოს ყველა საჭირო ინფორმაცია, დეკლარაციები, მონაწირობები, შედარების აქტი და სხვა, განახორციელოს საგადასახადო, საფინანსო, საკასო და საბაჟო ოპერაციები, არადგინოს დეკლარაციები, შეასრულოს ელექტრონული დეკლარირება. იყოს ჩემი წარმომადგენელი ყველა სახელმწიფო და კერძო დაწესებულებებში, ფინანსთა სამინისტროში, შემოსავლების სამსახურში, სასაქონლო ბიუროში, სამოქალაქო ავიაციის ეროვნულ სააგენტოში, სსიპ შსს მომსახურეობის სააგენტოში, საპატრულო პოლიციაში, განახორციელოს ნებისმიერი საქმიანობა სალარო აპარატთან დაკავშირებით, დადოს ნებისმიერი სახის გარიგება, პირობები განსაზღვროს თავად, დადოს გარიგება საკუთარ თავთან. შეიძინოს და/ან გაყიდოს შპს „ჯეოფექ“-ის სახელით ნებისმიერი მოძრავი ქონება, ტექნოლოგიები, გადაიფორმოს საკუთარ თავზე, გადაუფორმოს მესამე პირს, აიღოს სანომრე ნიშნები, გამოიყვანოს ტექნოლოგიური საჯარიმოდან, მართოს ავტომობილი როგორც საქართველოს ტერიტორიაზე ასევე მის ფარგლებს გარეთ, ამასთან დაკავშირებით იყოს წარმომადგენელი შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოში, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტში, გაფორმების ეკონომიკურ ზონაში, საპატრულო პოლიციაში, ამასთან დაკავშირებით შეაგროვოს ყველა საჭირო დოკუმენტები, განახორციელოს ყველა კანონიერი ქმედებები, ჩემს მაგივრად მოაწეროს ხელი ყველა საჭირო დოკუმენტს და აწარმოოს ნებისმიერი ქმედება ამ დავალებასთან დაკავშირებით.

მინდობილობა გაცემულია 5 ( ხუთი) წლის ვადით, გადანდობის უფლების გარეშე

ხელმოწერა: რზაევ რამიზ ბილალ ოღლი/ ხელმოწერილია

3 სექტემბერი 2022 წელი

მოცემული მინდობილობა დამოწმებულია ჩემს საბიტოვ ფამილ მირსადიგ ოღლს მიერ, რომელიც გახლავართ ქალაქ ბაქოს №1 სასაქონლო ოფისის კერძო ნოტარიუსი. მინდობილობა ხელმოწერილია შპს „ჯეოფექ“-ის დირექტორის და დამფუძნებლის რზაევ რამიზ ბილალ ოღლი -ს მიერ ჩემი თანდასწრებით საკუთარი ხელით. შპს „ჯეოფექ“-ის დირექტორის რზაევ რამიზ ბილალ ოღლი -ს სამართალ-უნარიანობა და უფლებამოსილება შემოწმებულია. მიმდობის პიროვნება დადგენილია, მისი ქმედუნარიანობა შემოწმებულია.

რეგისტრირებულია რეესტრში № 7E-5845

დადასტურდა საფასური 10,00 მანათი +01,50 მანათი მომსახურეობის საფასური.

მინდობილობა გაცემულია სამ ეგზემპლარად, რომლისგანაც ერთი ინახება სასაქონლო არქივში.

ნოტარიუსი საბიტოვ.ფ.მ

ქედის თარგმნა: აზერბაიჯანის რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტრო\*ქალაქი ბაქო\* ნოტარიუსი საბიტოვ ფამილ მირსადიგ ოღლი\* №1 სასაქონლო ოფისი.

აზერბაიჯანის რესპუბლიკა, ქალაქი ბაქო, უზ.გაჯიბეკლის ქუჩა 43, მობილური: WhatsApp): +994515096497;

akunotary1@gmail.com

არგმანი შესრულებულია რუსული ენიდან ქართულ ენაზე

არგმანი: ნათია ლაგვილავა

სანოტარო მოქმედების  
რეგისტრაციის ნომერი

N221245758



სანოტარო მოქმედების  
რეგისტრაციის თარიღი

16.09.2022 წ

სანოტარო მოქმედების  
დასახელება

დოკუმენტის თარგმანზე დიპლომირებული მთარგმნელის  
ხელმოწერის დამოწმება

ნოტარიუსი

გიორგი ლომაშვილი

სანოტარო ბიუროს მისამართი

თბილისი, მტკვრის ქ. # 6 ბ. #1

სანოტარო ბიუროს ტელეფონი

+995551004304

სანოტარო მოქმედების  
ინდივიდუალური ნომერი

89541439593022



მე, ნოტარიუსი გიორგი ლომაშვილი, ჩემს სანოტარო ბიუროში, მდებარე ქ.თბილისი, მტკვრის ქუჩა #6 ბ 1, ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმებას, რომელიც შესრულებულია მთარგმნელის ნათია ლაგვილავას (დაბ: 15.03.1982წ. ზუგდიდი, პ/ნ 19001011521, რეგისტრირებული: თბილისი პ.მელიქიშვილის გამზ. 29, სერტიფიკატი N # 6, გაც: 17.11.2011 წელს უცხო ენების შემსწავლელი ცენტრი „ ბრიტანული სახლი,“-ს მიერ , ტელ: +995 591 60 11 12 ) ხელმოწერის პირადობა დადგენილია, ქმედუნარიანობა და ნების გამოხატვის ნამდვილობა შემოწმებულია .

მე, მთარგმნელი გავაფრთხილე იმ პასუხისმგებლობის შესახებ, რომელიც მოჰყვება არაზუსტ თარგმანს. მთარგმნელმა, ჩემს წინაშე დაადასტურა, რომ ჯეროვნად ფლობს რუსულ და ქართულ ენებს, თარგმანი ზუსტია და თარგმანზე ხელი მოაწერა ჩემი თანდასწრებით.

გადახდილია საზღაური თანახმად საქართველოს მთავრობის 29.12.2011 წ. № 507 დადგენილებისა „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისთვის საზღაურისა საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობები, მათი გადახდევინების წესი და მომსახურების ვადები,„ მ. . 31.4 -8.00

ლარი +1.08 ლარი, თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლისა, + დღგ 1.44 მ.. 39.1 - 5.00 ლარი.

Я, нотариус Ломашвили Гиорги в нотариальном бюро по адресу: Тбилиси, ул.Мтквари № 6, кв.№ 1, заверяю достоверность подписи переводчицы Лагвилава Нати (15.03.1982 г. рождения, в Зугдиди , Л/№19001011521, зарегистрированная: г. Тбилиси, Пр. Петре Меликишвили №29 ., Сертификат № 6, выданный 17.11.2011 г. центром по изучению иностранных языков «Британский Дом, тел. +995 591 60 11 12). Личность подписавшей установлена, дееспособность и подлинность выявления воли проверена.

Я предупредила переводчицу об ответственности за неправильный перевод. Переводчица при мне подтвердила, что владеет русским и грузинским языком, перевод верен оригиналу и при мне исполнила свою подпись.

Уплачено за нотариальное обслуживание согласно № 507 Постановлению утверждённого 29.12.2011 года правительством Грузии “О плате за выполнение нотариальных действий и установленному нотариальной палатой Грузии размеру стоимости, по утвержденному постановлению правительства Грузии о правилах их оплаты и сроков обслуживания”, статья 31.4 - +8,00 лари, + НДС 1.44, .39.1 – 5.00 лари.

ნოტარიუსი: გიორგი ლომაშვილი

Нотариус: Ломашвили Гиорги



სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაქმნის შესახებ) მიღება-გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ-გვერდზე: [www.notary.ge](http://www.notary.ge) ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18



ნოტარიუსი

შეგვიძლია და გავუმარტიოთ